

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ზესტაფონის, როგორც ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება შედარებით ახალი, დაახლოებით 150 წლის წინ, დაწყებული პროცესის შედეგია და დაკავშირებულია მანგანუმის მადნის მოპოვება-რეალიზაციასა და გადამამუშავებასთან, ანუ ძირითადად სამრეწველო წარმოებასთან.

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული როლი და ადგილი უჭირავს, როგორც იმერეთის, ასევე მთლიანად საქართველოს მასშტაბით, არა მხოლოდ ფეროშენადნობთა ან კაბელების ქარხნით, რამედ ტრადიციული მეურნეობითა და კულტურით. შეიძლება ითქვას, რომ ზესტაფონი, როგორც იმერეთის რეგიონის, ასევე საქართველოს ერთერთი კულტურული ცენტრია - გამორჩეული თეატრალურ, სამუსიკო და სახელოვნებო სფეროებში მიღწეული წარმატებებით, მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული კოლორიტით, სტუმარ-მასპინძლობით, და ამავე დროს - მეღვინეობის, მეთუნეობისა და კულინარიული ტრადიციებით.

ჩვენი ღრმა რწმენით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს მისი სამრეწველო პოტენციალი და აღორძინდეს და ახალი ბიძგი მიეცეს ტრადიციული მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებას. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ჩართულობა. მეტიც ამ ინიციატივაში მონაწილეობა ჩვენთვის ერთდროულად არის პატივიც და პასუხისმგებლობაც, გამოწვევაც და კონკრეტული პოზიტიური შედეგების მოლოდინიც.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ბიზნესის სხვადასხვა სექტორის, სსო-ის, ასევე განთლებისა და მეცნიერული სფეროს წარმომადგენლების ჩართულობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ჩვენ აქტიურად ვუწყობდით ხელს და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მაქსიმალურად და წარმატებით განვითარდეს ასეთი თანამშრომლობა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებამ სტიმული უნდა მისცეს არა მარტო მუნიციპალიტეტის სოციალური-ეკონომიკური განვითარებას, არამედ უნდა იქცეს მუნიციპალიტეტისა და რეგიონის მდგრადი განვითარების წინაპირობად. და რაც მთავარია - საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ევროპასთან დაახლოების ერთ-ერთ ფაქტორად.

გამოვთქვამ მზადყოფნას ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მომზადებული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებისთვის და ასევე გამოვთქვამ იმედს, რომ ევროკავშირთან ჩვენი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი: კახაბერ მახათაძე

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:

სახელი, გვარი: ბორის ჭიჭინაძე

თანამდებობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ფაქსი: 0492 25 11 65

ელ-ფოსტა: Borkach@mail.ru